



## პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 იანვარი, 2016 წელი

დრო: 14:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
2. ნანა სუმბაძე - საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
3. კონსტანტინე კანდელაკი - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
4. ნინო ღვედაშვილი - თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
5. ირაკლი კლდიაშვილი - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
6. ია მამალაძე - საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

### განსახილველი საკითხები:

1. სამოქმედო გეგმის შემუშავება;
2. ინფორმაცია ქვეჯგუფების საქმიანობის შესახებ;
3. პლატფორმის სიახლეები;
4. ბრიუსელის სამდივნოს მიერ გამოცხდებული საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია;
5. სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და მიმოიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები.

თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პლატფორმას მთელი წლის განმავლობაში ექნება საშუალება აქტიურად გამართოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, შეიმუშაოს განცხადებები, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და რაც მთავარია, გამოიყენოს *საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით* გათვალისწინებული შესაძლებლობები და იმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების თანახმად, განიხილავს. მათ შორის მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ კოფერენციაში, რომელსაც ასევე დაესწრებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, გამართოს სექტორალური შეხვედრები, რაც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებთან დისკუსიისა თუ მრგვალი მაგიდების ფორმატში საკითხების განხილვას.

ბატონმა ლაშა ტულუშმა, ჯგუფის წევრებს ასევე გააცნო პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლობების დაარსების ინიციატივა, რაზეც შეთანხმება ამ ეტაპზე მიღწეულია და განსაზღვრულია მათი ადგილმდებარეობა, თუმცა კონკრეტული ორგანიზაციების შერჩევაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

შეხვედრაზე, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა გამოთქვა მოსაზრება, რეგიონალური ორგანიზაციების ჩართულობის თვალსაზრისით პლატფორმამ ხელი შეუწყოს შედარებით ნაკლებად აქტიური ორგანიზაციების ჩართულობის ზრდასა და გაძლიერებას.

შემდეგ საკითხად ჯგუფის წევრებმა განიხილეს პირველი სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა. რამდენადაც, ჯგუფის შეხვედრაზე მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი, გადაწყდა, რომ ელექტრონული კომუნიკაციის გზით მოხდეს ჯგუფის წევრებთან დაკავშირება და სამოქმედო გეგმის ერთობლივად განხილვა. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ დაიგეგმოს შეხვედრა ჯგუფის წევრებს შორის, რომ სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია შეჯერდეს და დამტკიცდეს. სამოქმედო გეგმის შემუშავების საბოლოო თარიღად 10 თებერვალი დასახელდა.

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამდივნოს მიერ გამოცხადებული რიგით მეორე საგრანტო კონკურსის შესახებ. ასევე გააჟღერა ინიციატივა პირველი ჯგუფის რამდენიმე ორგანიზაციამ მოამზადოს კოალიციური საგრანტო განაცხადი. რამდენადაც კონკურსის პირობებიდან გამომდინარე აუცილებელია აპლიკანტი იყოს ორგანიზაცია და არა კოალიცია, განმცხადებელი იქნება ერთი ორგანიზაცია, თუმცა საგრანტო თანხა კოალიციურად განაწილდება.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.